პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 24 მაისი 1941 წ. № 120 (6125) ფასი 15 კაპ.

პარეორგანიზაცია და წარმოების საკითხები

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII სრულიად - საკავშირო კონფერენციამ გადაჭრით მოითხოვა პარტიული ორგანიზაციების შემობრძოლება მრეწველობისა და ტრანსპორტისაკენ. ამს. მალენკოვმა თავის მოხსენებაში ლენინგრადის „პარტიული ორგანიზაციები ყალბეულნი არიან სისტემატურად. ჩასწვდნენ სამრეწველო საწარმოთა და რკინიგზების საქმეებს, გამოარკვიონ მათი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი და დაეხმარონ სამეურნეო ორგანიზაციებს მათს ყოველდღიურ მუშაობაში მრეწველობისა და ტრანსპორტის ხელმძღვანელობისათვის".

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ბოლშევიკურად ებრძოდნენ XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. მრეწველობისა და ტრანსპორტის ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობის კარგი ნიმუშები მოგვცა, სერიოზული ღონისძიებანი დასახა და განახორციელა მუშაობის არსებითად გარდაქმნისათვის. მაგალითად, თბილისის ბაბბის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ჩილაკოკიანი) მტკიცედ ანხორციელებს კონტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი. პარტიულმა ბიურომ არაერთხელ განიხილა თავის სხდომის მსჯელობის საგნად გეგმების შესრულების, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის, მანქანა-იარაღების რემონტისა და მათი წესიერი მოვლა-პატრონობის საკითხი. დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, შეიმოწმა მათი შესრულება და უბრუნველჰყო ფაბრიკაში ჩამორჩენილი უბნის ვამოსწორება. მიმდინარე წლის 23 აპრილს პარტბიურომ თავის სხდომაზე სპეციალურად განიხილა საქ. სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბრძანების შესრულების მიმდინარეობა. ბიურომ ბრძანების შესრულებისათვის მთელი რიგი ღონისძიებანი შეიმუშავა, რომელთა გატარების შედეგად ფაბრიკაში გაუმჯობესდა ბრძოლა გეგმის რიგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

პარტიული მუშობის სამეურნეო საქმიანობასთან შეთავსების კარგ მაგალითებს იძლევიან თბილისის მაფდის ფაბრიკის, თბილისის სორთოკლმაყლი დეპოს, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციები. აქ პარტიულმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინო მუშობა ჩაატარეს საწარმოო მოწყობილობათა ზუსტი აღრიცხვის, მანქანა-იარაღების დროზე და ხარისხიანად შეკეთების, სტახანოველებისათვის დახმარების გაწევის, რიტმიული, ორგანიზებული მუშობისა და წარმოებაში სისუფთავისა და კულტურის დამკვიდრებისათვის.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა რიდი გვაქვს. არის მრავალი ფაქტი, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ვერ ანიჭებს საწარმოო საკითხებს, სწორად ვერ ანხორციელებს კოხტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი. განა ამას არ მოწმობს თბილისის მოლოტოვის სახელობის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტორგანიზაციის მუშაობის მაგალითი? პარტბიუროს უყანასკნელი თვეების განძავლობაში თავისი მსჯელობის საგნად არ გაუხდია წარმოების არეკრი საკითხი. ფაბრიკაში კი მოუგვარებელი დახადგართა პასპორტიზაცია, მანქანა-იარაღების აღრიცხვა და მოვლა, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საწარმოო გეგმების შესრულებაზე. ასევე ითქმის თბილისის ქიმკომბინატის პარტიული ორგანიზაციის შესახებაც.

საამქროთა პარტბიუროებსა და პარტიულ ჯგუფებს დიდი როლი ეკისრებათ საწარმოში. პარტიული ჯგუფები უმეტესად დაკავშირებული არიან წარმოებასთან. მათ ყველა პირობა მოეპოვებათ პარტიული გავლენა მიახდინონ უფნის ყველა მუშასა და მოსამსახურეზე, წარმოების თვითეულ დეტალს თვალყური ადევნონ და ხელი შეუწყონ გეგმების შესრულებას, კომუნისტების ავანგარდული როლის ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ბევრს საწარმოში ჩვენ გვაქვს პარტიული ჯგუფების კარგი მუშობის მაგალითები. ეს სავსებით ნათელჰყო პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარე აბგარიშგება-ანრიგვებმა.

მაგრამ არის იმის მაგალითები, რომ ზოგან პარტიული ჯგუფები ჯერ კიდევ ვერ შემობრუნდნენ წარმოების საკითხებისაკენ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს სამეფლო საამქროს პარტიული ჯგუფები. მიუხედავად იმისა, რომ საამქროში მასალებისა და მოწყობილობის აღრიცხვის საქმე მოუგვარებელია, გრიფკეი ირღვევა, ცუდი ხარისხის პროდუქციის უშვებენ, ჯგუფი ყოველივე ამას არასაკმარის ყურადღებას აქცევს. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ეაგონსარემონტო ქარხნის ელექტრომშედეგებელი საამქროს პარტიული ჯგუფი ყურადღებას არ აქცევს საამქროში შრომის დისციპლინის განმტკიცებას. კიდევ შეიძლება მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა.

პირველადი პარტორგანიზაციის ამოცანას წარმადგენს „...საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვ. მასეგბის მობილიზაცია საწარმოო გეგმის შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარებისათვის" (საკ. კ. პ. (ბ) წესდება).

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პარტორგანიზაციის მიმდინარე საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, მოურიდებლად ვამხილოთ ნაკლოვანებანი და წამოვაყენოთ საქმიანი წინადადებანი მათი დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის. XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე არსებითად უნდა გარდავქმნათ საწარმოო პარტორგანიზაციების მუშობა. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა განახორციელონ კონტროლი სამეურნეო საქმიანობისადმი, უფრო რიმდე ნასწავლენ წარმოების ეკონომიკას, გაიჩიონ ბრძოლა ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ დაცვის, საწარმოო მოწყობილობათა და იარაღ-მანქანების წესრიგში მოყვანისათვის, ნედლეულისა და სათბობი მასალის მოპმპარნეობათ ხარჯვის, წარმოებაში სისუფთავისა და კულტურის დანერგვისათვის. პარტორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანაა ბოლშევიკური ბრძოლა რიტმიული, ორგანიზებული შუმობისათვის, რაც უზრუნველჰყოფს 1941 წლის გეგმების შესრულებას, პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყოთ ხალხთა გენიალური ბელადის დიდი სტალინის მითითება, რომ „თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშობის წარმატებებზე, რომ „ამ პირობათა გარეშე სამეურნეო წარმატებანი ქეიშაზე აგებული აღმოჩნდება".

320.650 მოგება

24 მაისის ობსაში დაიწყება სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის მოგებათა მე-14 ტირაჟი. ტირაჟში გათამაშებულ იქნება 52.051.300 მანეთის 320.650 მოგება, აქედან 53 მოგება 3.000 მანეთითანი, 265 მოგება 1.000 მანეთითანი, 2.650 მოგება 500 მანეთითანი, 53.000 მოგება 200 მანეთითანი და 264.682 მოგება 150 მანეთითანი.

ტირაჟი 2 დღეს გასტანს.

22 მაისი (საკდესი).

სახალკომეზინის ხელუმძღვანელობის კომისიების ანგარიშგებანი

ლენინგრადში არის სახელმწიფო კრედიტისა და საშემნაწველო საქმის ხელშემწყობი 4.200 კოლმეურნეობა. ამჟამად ხელშემწყობი კომისიები წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს ამარებენ ფაბქარხკომებისა და ადგილკომების პლენუმებზე.

ლენინის რაიონში უკვე შეამოწმეს 170 ხელშემწყობი კომისიისა და სახელმწიფო კრედიტის 400 რწმენებულის მუშაობა არტელებში, სკოლებსა და სახლთსამართველოებში.

კიროვის ქარხნაში კარგად არის დაყენებული სესხმფლობელთა მომსახურება. საამქროებში მოწყობილია მოგებათა ცხრილების ლამაზად გაფორმებული ვიტრინები. ყოველი ტირაჟის შემდეგ ხელშემწყობი კომისიების აქტივისტები ამოწმებენ მუშებისა და მოსამსახურეების ობლიგაციებს. (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობაზე კრიკეში

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა მოკრიკეთა ჩვენი ქვეყნის ინდივიდუალურ პრიკეტნაში შეჯიბრების მონაწილეთა შემადგენლობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის 128 საუკეთესო მოკრიკეი, მათ შორის ჩვენი ქვეყნის 1940 წლის ჩემპიონები: სეგალოვიჩი, ვართანოვი, ივანოვი, ოგურეწკოვი, ზაგორიუნეკო, კაცი, ბელიაევი; ცნობილი საბჭოთა მოკრიკეენი კოროლიოვი, სტეპანოვი, განიკინი. სსრ კავშირის უძლიერესი მოკრიკეის სახელწოდების მოსაპოვებლად რინგზე გამოვლენ ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკების ჩემპიონები რაადიკი, ლინმიაგი, კიაბი და კილი. ყველაზე მეტი სპორტსმენი გამოჰყავს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

შეჯიბრება დაიწყება იენისში. პირველი 2 ტური შესდგება კიევში, ლენინგრადში, ბაკოსა და თბილისში. საფინალო — მესამე ტური, შესდგება მოსკოვს აკვიატოში. აქ გამოვლინებულ იქნებიან ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონები უმჩატეკ, მჩატე, ქვემსუბუქ, მსუბუქ, ქვესაშუალო, საშუალო, ქვიმძიმე და მძიმე წონაში.

სსრ კავშირის პირველობისათვის ბრძოლა შესდგება 6 ორორწუთიანი რაუნდისაგან. საფინალო ბრძოლაში იქნება — 8 ორორწუთიანი რაუნდი.

22 მაისი (საკდესი).

ციკი შუქის ნათურები

ჩვეულებრივი ელექტრონათურები მუტად არაკონმფორტია. 90 პროცენტი ენერგიისა, რასაც ნათურა ხარჯავს, უნდება ვოლფრამის ძაფის გახურებას და მხოლოდ ენერგიის 10 პროცენტი იქცევა შუქად.

მოსკოვის ელექტრონათურის ქარხნის ინჟინრებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფთან ერთად ქარხნის ლაბორატორიაში დაამზადეს ციკი შუქის რამდენიმე ნათურა. ნათურა წარმოადგენს ნახევარმტრიან მინის მილს, რომელსაც ვერცხლისწყლის განუფტავი აქვს და შიგნიდან დაფარულია მხალი ნივთიერებით. ნათურას მკაფიო შუქი აქვს, რომელიც დღის შუქისაგან არაფრით არ განსხვავდება. 15-20 ვატიანი ნათურის შუქი ერთი-სამად უფრო მკაფიოა, ვიდრე იმავე სიმძლავრის ჩვეულებრივი ნათურის შუქი. (საკდესი).

რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა

ლენინის ოლქში დიდ მუშაობას წარეთან რაიონული ცენტრების კეთილმოსაწყობად.

ქალ. ბრიდნი რეკონსტრუირებული წყალსადენის მაგისტრალი. იქვე აშენებენ დიდ პარკს, ეკალეთებენ 40 საცხოვრებელ სახლს, წესიერებენ მოპყავთ ტროტუარები, ინსტალა სამრეცხაო, ტახსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო და სხვ.

ოთხ რაიონსულ ცენტრში ამთავრებენ სასტუმროს მშენებლობას, რავარუსაში კი — ქალაქის ამბორიის აგებას.

ოლქის რაიონული ცენტრების კომუნალური საჭიროებისათვის წელს დაიხარჯება 3.500 ათასამდე მანეთი (საკდესი).

აკადემიკოს ა. ა. ბოგომოლეცის დაბადების 60 წლისთავი

კიევი, 22 მაისი (საკდესი). უკრაინის საზოგადოებრიობა აღნიშნავს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ა. ა. ბოგომოლეცის დაბადების 60 წლისთავს.

აკადემიკოსი ბოგომოლეცი არის გამოჩენილი პათოფიზიოლოგი. მისი ნაშრომები სისლის, ნაადრევად დაბერებასთან ბრძოლისა და სხვ. დარგში ფართოდ ცნობილია ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. ბოგომოლეცის ციტოტოქსიკური შრატი უკვე იხმარება სსრ კავშირის 50-ზე მეტ კლინიკასა და საავადმყოფოში როგორც საშოალება, რომელიც აძლიერებს ორგანიზმის წინააღმდეგობას ინფექციური დაავადებისადმი, ხელს უწყობს მოტეხილების შეზრდის დაჩქარებას, ჭრილობისა და წყლულის მოშუშებას.

გამოჩენილ მეცნიერს აქვს 145-ზე მეტი ნაშრომი. მეცნიერული ნაშრომისათვის „პათოლოგიური ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო" აკადემიკოს ბოგომოლეცს სტალინის პრემია მიენიჭა.

მეცნიერი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი არის სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. პათოლოგიური ფიზიოლოგიის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის აკადემიკოსი ბოგომოლეცი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

სრულიად-საკავშირო კონფერენცია მეოთხეული პერიოდის შესწავლის საკითხებზე

ვოკზალი, 22 მაისი (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სრულიად-საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია მეოთხეული პერიოდის შესწავლის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, ვილნიუსის, ტარტუს, ნოვოსიბირსკის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკისა და სხვა ქალაქების 100-მდე გამოჩენილი გეოლოგი, პალეოსთოლოგი, ანთროპოლოგი და არქეოლოგი.

პირველი პლენარული სხდომა გახსნა სრულიად-საკავშირო გეოლოგიური ინსტიტუტის (ლენინგრადი) პროფესორმა ს. ა. იაკოვლევმა.

— მეოთხეული პერიოდის შემსწავლელ საერთაშორისო ასოციაციას, — ამბობს იგი, — საქმეები აქვს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მაგრამ მხოლოდ ერთ მათგანს — საბჭოთა კავშირის სეკციას — აქვს შესაძლებლობა მშვიდობიან ვითარებაში რეგულარულად შეიკრიბოს წელიწადში ორჯერ მეოთხეული პერიოდის შესასწავლად გაწეული შუმობის განსახილველად.

ბრიგ. იაკოვლევის წინადადებით კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ალფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ამხანაგ **სტალინს**.

შემდეგ მოხსენება გაკეთა ვორონეჟის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ა. დუბიანსკმ, რომელმაც მოიყვანა სასტრეკეო ფაქტები მდინარე დონის აუზის მეოთხეული ნალექების უკანასკნელ გამოკვლევათა შესახებ, რასაც უდიდესი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვორონეჟის ოლქის მეოთხეული ნალექები უმდიდრეს ნედლეულს წარმოადგენენ სამშენებლო მასალის მრეწველობისათვის.

სულ კონფერენციაზე მოსმენილ იქნება 60-ზე მეტი მოხსენება.

მინის ნარჩენი და ქსოვილი

22 მაისს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული თათბირი მინის ოზოლაციის წარმოების საკითხებზე.

მოხსენება გააკეთა სტალინის პრემიის ლაურეატმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მ. გ. ჩერნიაკმა.

საბჭოთა მეცნიერებმა წარმატებით გადასწყვიტეს ბკვიდრი და მეიდეგი ელექტროსაიზოლიციო მასალის მიღების პრობლემა. აღმოჩენილია მინისაგან საიზოლაციო ქსოვილისა და ნართის დამზადების ხერხი. მინის ბოჭკოს ძერფაზი თვისებანი — მექანიკური სიმკვეთრე, ქიმიური მდგრადობა, ცეცხლგამძლეობა და უკორროზიო უზრუნველჰყოფს ახალი საიზოლაციო მასალის ფართო გამოყენებას მრეწველობაა სხვადასხვა დარგში.

ეს მასალა დიდ გამოყენებას ჰპოვებს ელექტრომანქანათა მშენებლობაში, ჩვეულებრივი, ყველაზე უფრო თბოგამძლე ოზოლაცია 120-მდე გრადუსს უძლებს, მინის ოზოლაცია კი საშუალებას იძლევა ტემპერატურა გადიდებულ იქნას 150 გრადუსამდე და უფრო მეტადაც. ეს საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გადიდდეს ელექტრომანქანების სიმძლავრე და დაზოგილ იქნას ფერადი ლითონები.

მინის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტმა შეიმუშავა საკუთარი აპარატური და ტექნოლოგიური პროცესი მინისაგან ნართისა და ქსოვილის წარმოებისა. ამ წარმოებისათვის საჭირო ნედლეული — სილიკატები — თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობით მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში და გავრცელებულია ყველგან.

საქართველოს მინათმოქმედების სასახლე

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კოლმეურნეობათა პოედანზე თავისი საუკეთესო არქიტექტურით გამოირჩევა საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი. სტალინის პრემიის ლაურეატის, ორდენოსან ქურდიანის პროექტის მიხედვით აშენებული, იგი ზლითი-ზლობით გამოფენის მილოონობით დამთავალიერებელთა სულ უფრიდაუფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. დაუსრულებელ ნაკადად მიდიან დამთავალიერებელნი ხალხური ორნამენტით მორთულ მაღალ თაღებქვეშ, რათა შეისწავლონ მზიური საქართველოს სიმდიდრე, გაეცნონ ქართველი ხალხის თავდადებული მუშობის ნაყოფს, უკვე ახლაც, გამოფენის ბახნის წინ, აქ გაჩაღებულია მრავალფეროვანი მუშობა.

თვითეულ დამთავალიერებელს თვალწინ ეშლება საქართველოს უთვალავი სიმდიდრის დიდებული სურათი. მთელი განყოფილება უჭირავთ საქართველოს წიაღისეულის ნიმუშებს. ძალიე ცისტერნებში არის საქართველოს ნავთი. მის გვერდით ვიტრინებში — გრანიტი, ტუფი, ფიქალი, მარმარილო, ძვირფასი ფერადი ლითონი. რა გინდა რომ არ იყოს ამ საუკეთესო რესპუბლიკის მიწის წიაღში. მთელს მსოფლიოში განთქმულია ჭიათურის მანგანეცი. ფარფოდ არის ცნობილი ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ქვანახშირი.

მაგრამ საქართველო მარტო ამით როდია მდიდარი. საბჭოთა ხელისუფლებამ დამყარება შემდეგ განვლილ წლებში მან სწრაფად განავითარა მანქანათმშენებლობის, ნავთის, ფეროშენადნობის, ჩაის, საფეიქრო, შაქრისა და სხვა სახის მრეწველობა. წლითიწლობით იზრდება საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ინდუსტრია.

მრეწველობასთან ერთად სწრაფად ვითარდება სოფლის მეურნეობა, დიდდება ფარფობება, რომელიც ციტრუსოვან კულტურებს უჭირავთ. თითქმის ტიალ ადგილზე შეიქმნა მოწიფოოქმედების ისეთი დარგი, როგორიცაა ჩაის ბუჩქისა და ტუნგის გაშენება. მთელი რიგი ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნებიდან საქართველოში გადმოსახლებულნ მწვანე იმიგრანტები. რესპუბლიკაში შეგროვებულია ყოველივე საუკეთესო, ყოველივე ძვირფასი, რაც კი მსოფლიო სუბტროპიკულ ფლორაში მოიპოვება — ვიტამინების მოცემი მცენარეები, ლაქ-საღებავები, ბოჭკო, კაუჩუკი, ეთეროვანი ზეთი, წამლეული. ბაგეილიაში თვალნათლივ არის ნაჩვენები, თუ რა შესანშნავ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ტუნგო უცნობი კულტურა იყო ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის. ახლა მას 16.675 ჰექტარი უჭირავს. სტენდებზე გამოფენილია ტუნგოს ნედლი პროდუქცია, მზა ზეთის, ლაქ-საღებავების მდიდარი პროდუქცია. ტუნგოს ნაყოფიდან მზადდება ზეთი, რომელსაც ფართოდ იყენებენ საკეტომობილო, საავიაციო და გემთმშენებლობის მრეწველობაში, ელექტროტექნიკასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მოწონავე მეურნეობებმა ისწავლეს ტუნგოს ნაყოფის მაღალი მოსავლის მიღების ოსტატობა. ოჩამჩირის რაიონის მოქეთს ტუნგოს სპეციალური მეურნეობა, რომელიც გამოფენის მონაწილეა, უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე ტუნგოს 220,5 ცენტნერი ნაყოფი აიღო, სტენდზე მოყვანილია ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელის" პლანტაციებზე ტუნგოს მოსავლიანობის სწრაფი ზრდის ციფრები.

კიდევ უფრო განსაცვიფრებელია საქართველოს წარმატებანი ჩაის პლანტაციების განვითარების საქმეში. ... ...

ორგანიზებულად ჩავაჭართ სამხედრო-ტაქტიკური სწავლება

„პირველი და უმთავრესი ჩვენი მოვალეობაა სოფლიოლტარი სამშობლოს სამეფრინეო და თავდაცვითი ძლიერების მეფმგზამი გამამტკიცება“ (ვ. კალინინი).

ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო მოსახლეობის სამხედრო მომზადებას. ქალაქ თბილისის მშრომელება დიდი ინტერესით სწავლობენ და ითვისებენ სამხედრო საქმეს. ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებსა და კოლეტეურნეობებში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ მოეწყობიდა ეკრანი მსროლელნი, მეტყვეიამფრქვეველნი, პარაშუტისტები და სამხედრო-ქიმიური თავდაცვის ნიშნოსნები. მაგრამ რაიმე სამხედრო სპეციალობა მიღება ყველაფერს როდი ნიშნავს —მთავარია შეგვეძლოს მიღებული სამხედრო ცოდნის წარმატებით გამოყენება საბრძოლო ვითარებაში.

მიმდინარე წლის აპრილში თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა 26 კომიასის სახელობის რაიონში მოაწყეს ტაქტიკური სწავლება — „საპარაშუტო დესანტთან ბრძოლა“, რომელშიც მონაწილეობდა 1.500 კაცი.

ეს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების ტაქტიკური ვარჯიშობის მხლოდ დასაწყისი იყო. ახლო ხანში ასეთი სწავლება ფართო მასშტაბით ჩატარდება თბილისში და დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. სამხედრო-ტაქტიკური სწავლება უნდა ჩატარდეს სანიმუშოდ, უშეცდომოდ—ეი ამოცანა, რომელიც უნდა დასახოს ქალაქისა და სოფლიოს თვითეულმა შრომელმა.

მომავალი სწავლების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ, გარდა უშეშნიბვისა, ტაქტიკური სწავლება ეწყობა აგრეთვე **საპარაშუტო დესანტთან ბრძოლაში.** საბრძოლო უბნების უფროსების, რაზმების მეთაურთა, ყველა მშრომელის ამოცანაა დროულად აღმოაჩინონ და „გაანადგურონ“ **საპარაშუტო დესანტები.**

სამხედრო-ტაქტიკური სწავლების წარმატებით ჩატარებაში დიდი როლი ეკუთვნის საზოგადოებრივ თავდაცვის ორგანიზაციებს— თავდაცვა-ავიაქიმსა და წითელ ჯვარს. თავდაცვა - ავიაქიმელები და წითელი ჯვრის წევრები ტაქტიკური სწავლების მონაწილეთა მოეწონავე რგებში უნდა იყვნენ.

მომავალი სამხედრო-ტაქტიკური სწავლების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებული ვიქნებიან ამ საქმისათვის, რამდენად კარგად განვეკარგოთ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას სწავლების მიზნისა და ამოცანის. პირველად პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ტაქტიკური სწავლების მომზადებას, განუმარტონ მშრომელთა, თუ რა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მომავალ სწავლებას, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა ფართოდ უნდა განუმარტონ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას საპარაშუტო ავიადესანტი ჩამოსვლა, რომ თვითეულმა მშრომელმა იეოდეს ადგილობრივი საპარაშუტო თავდაცვის ყველა წესი.

მომავალი სამხედრო-ტაქტიკური სწავლება ჩვენი საბრძოლო მომზადების დათვალიერებაა. ამბავ თვითეული საბჭოთა მოქალაქის — სოციალისტური სამშობლოს პატრიოტის მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სწავლებაში და ეიდეგ უფრო განამტკიცოს თავისი საბრძოლო მზადყოფნა.

ვ. ბოკობასიძე

საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს განყოფილების უფროსი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

ტექნიკური მეცნიერების წარმატებანი

1941 წლის სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის განსახილველად მე შვიძელი მომზადებინა ვრცელი ანგარიში. ეს ანგარიში ეხებოდა ბოლო ორ-სამ ოქროს პატარა მედალით დამაჯილდოდა, ეს კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამაჯილდოდა შრომის წითელი დროშის ორდენით. ამ ჯილდოებმა მე კიდევ უფრო წამახალისა ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანებნი ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მე-11 ბრიგადამ, რომელსაც ხუთი წელია ვხელმძღვანელობ, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ჰექტარზე საშუალოდ 5.683,5 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო, 1940 წელს მივიღეთ 6.115 კილოგრამი, ძიძიფირაზე. წელს კი თავდადებით ვმუშაობთ, რათა ჩაის მოსავლიანობა ჰექტარზე 6.500 კილოგრამამდე ავიყვანოთ და პირველი ხარისხის ფოთლის რაოდენობა გეგმით გათვალისწინებული 69 პროცენტიდან 75 პროცენტამდე გავზარდოთ.

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 52 მუშა-ხელს აერთიანებს. აქედან 24 სტახანოვანელია, 19 დამკვრელი, 9 კოლმეურნე მონაწილეობს მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

შრომის სწორად მოწყობამ დიდად შეგვიწყო ხელი გეგმების შესრულებაში. წელს 2,4 ჰექტარის ნაცვლად ჩაის, ტუნგოს და ციტრუსის ახალი პლანტაცია 3 ჰექტარზე გავაშენეთ. ეგალიპტის გაშენების გეგმა შევასრულეთ 125 პროცენტით, ცოცხალი ღობის გაშენების გეგმას ერთიანად გადავეჯარეთ, ქარსაფარი ზოლი 200 გრძივი მეტრის ნაცვლად გავაშენეთ 800 მეტრზე.

სიხარულით მივდივარ მესამეჯერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რათა იქ მიღებული გამოცდილებით კიდევ უფრო გავამდიდრო ჩემი ცოდნა და ყველაფერი ეს მოვახმარო საერთო საქმეს, საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებას.

გრ. ხუციშვილი

მახარაძის რაიონის სოფ. ნატანებნი ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორდენოსანი.

მდგომარეობა კრეკვის ჯუნძულზე

(რადიოგადაცემა ლონდონიდან)

გერმანია კვლავ ცდილობს ჯარი გადასხას ,,ტრეტის ჯუნძულზე. საიმპერიო ჯარმა ტკივილ წაიყვანა ბტრის დიდძალი ჯარის,აკაი. ლონდონში იმ ამბრისანი არიან, რომ, ნდონში ამ ამბრისანი არიან, რომ, გერმნის განთიადზე გადაყვანილ 1.500 პარაშუტისტს პლანერებითა და თვითმფრინავებით გადასხეს სულ ცოტა ერთი სამეარო ბალეგა, რომელიც 7 ათასი კაცისაგან შეადგება. ასეთი დივეზიის გადასაყვანად ჩვეულებრივ საჭიროა 250 თვითმფრინავი. ,,ჯუნძულის მდგომარეობას მთელიან ,,ონტეროოს ,,ოწეიეს ,,ოწეიეს ,,ონ ,,ონ ,,ონ

პარტიული ცხოვრება

შეეინარჩუნოთ მიღწეულები, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი

(თბილისის ო.ჯ.ონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა)

ორგანიზებულად ჩატარდა 22 მაისს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. გუკასოვი.

მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა საანგარიშო პერიოდში პარტბიუროს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. მან მოუთხრო კრებას განსაკუთრებით იმ ღონისძიებათა განხორციელებაზე, რომლებიც გამომდინარობდნენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან. ამხ. გუკასოვმა აღნიშნა, რომ ქარხანამ 1940 საპატრიოტო წელი წარმატებით დაამთავრა. კარგი მუშაობისათვის სახალხო კომისარიატისაგან მიიღო გარდამავალი დროშა. ქარხანამ ასევე კარგ მაჩვენებლებს მიაღწია 1941 წლის პირველი კვარტალისა და აპრილის საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულებაში. პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულ იქნა 104,8 პროცენტით, ხოლო აპრილს—103 პროცენტით.

გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტები ინარჩუნებენ ავანგარდულ როლს. ქარხანაში მომუშავე სულ ოთხასი კომუნისტი უტახანაველია. მემთხვევი რიდია, რომ საკავშირო ორდენებითა და მედალებით დაჯილდოებულთა შორის 4 კომუნისტია.

შემდეგ ამხ. გუკასოვი ლაპარაკობს იმ მუშობაზე, რაც პარტიულმა ორგანიზაციამ გასწია საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მან აღნიშნა, რომ პარტორგანიზაციამ ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთად სერიოზული მუშაობა ჩაატარა საღღეღამისო გრაფიკზე გადასვლისათვის. ქარხანაში ადიგეკეთა გეგმების შესრულებაში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია. კერძოდ, ყველა საამქროს ვერ უშვებს კარგად ხარისხის პროდუქციას, ზოგან (4 და 4 (ბ) საამქროები) არის ცუდი ხარისხის გამოშვების ფაქტები. არის მაგალითები, რომ ხარისხზრიგად და ვადების შეკეთება. ზოგან ადგილის აქვს დაზგების დაზიანებას უუფლოდ ღობობის გამო. ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი შრომის ღისციპლინის დარღვევებსა და წვრილმანი ქურდობის ფაქტები.

მოხსენების შემდეგ გიმართა ბაცტოველებული კამათი. № 4 (ბ) საამქროს ოსტატმა ამხ. ვ. ნეხარიშვილმა ილაპარაკა იმაზე, რომ საამქრო აპრილში ჩამორჩა გეგმების შესრულებაში. იმის გამო, რომ საამქროში გაჭიანურდა დაზგების რემონტი და აგვილი აქვს ზოგიერთი შოფერობილების ნაკლებობას, გრაფიკი ირღვევა. აღნიშნულ საამქროში გეგმების შესრულებას აგრეთვე ეშურებს ის, რომ სამსხვილა საამქრო ღროზე არ აწვდის საჭირო დეტალებს. მან აგრეთვე აღნიშნა ლექციებისა და კონსულტაციების არაორგანიზებულად ჩატარების ფაქტები და მოითხოვა ყოველ ამხანაგებისათვის დახმარების გაძლიერება.

ქარხანასთან არსებული საქარხნო-სოფამრიკო სკოლის დირექტორის მოადგილეს ამხ. ს. სამხარაძემ კრების ყურადღება გაამახვილა სკოლის მუშობის საკითხებზე. მოიყვანა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ მოწაფეები ვერ გადიან შესაფერ საწარმოო პრაქტიკას. განსაკუთრებით № 2 საამქროში მოწაფეების პრაქტიკასთან თეორიის დაკავშირების საქმეში არაუკმარისად ეხმარებიან. ძალიან ცუდია კომკავშირის მონაწილეობა სკოლის მუშობაში. პარტიულ ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდში სკოლის მუშობის საკითხი ჯერეოვნად არ განუხილავს.

ქარხანის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბერძენიშვილმა კრებას მოუთხრო იმ მუშობაზე, რაც პროფორგანიზაციამ გასწია XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შემდეგ. მან ყურადღება გაამახვილა საამქროებში პროფორგების მუშობის გაძლიერების საკითხზე.

კამათში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვ. ქუშელავამ, ნ. რეღიმონოკანმა, მ. ბალიასაოვამა, ლ. ზურაბიანმა, ვ. ცეცელშვილმა, ვ. კვაცაშიძემ, შ. რუხაძემ, ბ. გიორგ და ა. პლეტნიკოვმა. მათ ამხანაგების ყურადღება გამაახვილეს საგარეუბნო მეურნეობის მუშობის, მრავალდაზოგსნებისა და სტანანოველებისაფის დაზმარების გაძლიერების, კომკავშირის მუშობის, ქარხნის რეკონსტრუქციის, პარტიულ-პოლიტიკური მუშობის, გიუმჯობესებისა და სხვ. საკითხებზე.

კრებამ პარტბიუროს განვლილი მუშობა დამაკმაყოფილებლად სქნო და დასახა სათანადო ღონისძიებანი. არჩეულ იქნა პარტბიუროო 7 კაცის შემადგენლობით. პარტბიუროს მდივნად არჩეულია ამხ. გ. ბერძენიშვილი, მდივნის მოადგილედ: ძ. იაზლოვსკი და ა. სურკოვი.

კრების მუშობაში მონაწილეობას იღებდა საკ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. ოშხანოვი.

ვ. ალიძე

სოხუმის პორის ქარხნის აგიტატორი ნ. სედოფუხი მორიგი საუბრისთვის ემზადება.

ფოტო პარასკევაპუოლისი (საქფილის ფოტოკორონიკა).

პარტგანათლების სახლმა გარდაქმნა მუშაობა

ფოთი („კომუნისტის“ კორ.). საკ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პარტგანათლების სახლმა გარდაქმნა მუშობა. იგი გახდა ქალაქში ლენინური პროპაგანდის ცენტრი. პარტგანათლების სახლში მოწყობილია ინდივიდუალური ჯგუფური კონსულტაციის კაბინეტები. აქვე მოწყობილია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შემსწავლელთა კაბინეტი საკირო მოწყობილობით, ლიტერატურით, დიაგრამებით, ოუკებით და სხვ.

პარტგანათლების სახლს მოუპოვება საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა საკ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიიდან. ბიბლიოთეკას გააჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების სრული კომპლექტი. ამ ბიბლიოთეკაში სარგებლობენ ლექტორები, წოგნზე დამოკიდებლად მომზშავე ამხანაგები, ქალაქის ინტელიგენცია.

პარტგანათლების სახლის სალექციო დარბაზში სისტემატურად ტარდება ლექციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, საერთაშორისო მდგომარეობის, მეორე იმპერიალისტური ომის, სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკისა და სხვ. საკითხებზე.

მოსკოვის პარტორგანიზაციების გამოცდილების საფუძველზე ფოთის პარტგანათლების სახლმა შემოიღო ცალკული ლექციების სამთვიანი ციკლები ლენინ-სტალინის ეპოქის ისტორიაში. ეს ციკლები ეხებიან ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ძირითადი ეტაპების, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, ეროვნულ-კოლონიალური ბურჟუაზიის ბოლოდროინდელ მძაფრი ტემპერამენტი, ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალისტების ბოროტმოქმედებანი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ეპოქა, ეროვნული ბურჟუაზიის ბოლოდროინდელ

იდენის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 22 მაისი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, იწვალისს სავარო სამეთა მინისტრმა იდენმა, რომელმაც დღეს სიტყვა წარმოსთქვა თემთა პალატის სხდომაზე, მკვახე ტონით გააფრთხილა საფრანგეთი იმ სერიოზული შედეგების შესახებ, რაც შეიძლება წარმოიშვას თუ ვიშმი მთავრობა ინგლისის სამხედრო ღონისძიებათა საზიანო მოქმედებას ჩაიდენს.

თუ საფრანგეთის მთავრობა,— განაცხადა იდენმა, — ინგლისის მტერთან თანამშრომლობის მის მიერ მიღებული პოლიტიკის განხორციელებისას დაუშვებს ისეთ ზომებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ინგლისის სამხედრო ღონისძიებებს ან რომლებსაც მიზნად აქვთ დაეხმარონ ინგლისის მტრის სამხედრო ღონისძიებებს, იხალისი „ბუნებრივია, უფლებას იტოვებს დაჭრას მტერს იქ, სადაც კი მას ამოიჩენს". ჩვენ, — განაცხადა იდენმა, — ჩვენი სამხედრო გეგმების განხორციელებისას თავს მოვალედ ვიგრ ჩავთვლით რიიმე განსხვავება მიეანიშოთ საფრანგეთის ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიას.

ნოქსის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი

ნიუ-იორკი, 22 მაისი (საკადესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემთან, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საზღვაო სამინისტრო ინტერესით ეკიდება სატვირთო გემების გადაკეთებას მცირე ავიოსნებად. რომლებიც გამოყენებული იქნებიან ამერიკის საკავრო ნოსნობის დაცვაცვად.

საფრანგეთის კომუნიკე სირიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ბეირუთი, 22 მაისი (საკადესი). ტრანსოკეანის საააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ დღეს ბეირუთში გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე, რომლითაც უარყოფენ ცნობას იმის შესახებ, რომ დე გოლის ჯარის პოლკი შეიჭრა სირიის ტერიტორიაში. შემდეგ კომუნიკე უარჰყოფს აგრეთვე ცნობას, რომ სირიაში მყოფი საფრანგეთის პოლკი გადავიდა დე გოლის ჯარის მხარეზე.

ამერიკის კორესპონდენტი ფრანგების მიერ დაკავრის გამამგრების შესახებ

ნიუ-იორკი, 22 მაისი (საკადესი). როგორც ეაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ვაშინგტონში მიღებული სარწმუნო ცნობების თანახმად, საფრანგეთი აჩქარებული ტემპებით აძლიერებს დაკავრის დაცვას. მანფელის კონცხზე მუდმივ თვდაცვითს ნაგებობებს ამაგრებენ. დაკარის ნავსადგურის შესასვლელთან გორეს კუნძულზე დადგმულია რამდენიმე ახალი ქვემეხი, მათ შორის საზენიტო ქვემეხები. აქ დადგმული ზარბაზნებიდან, უდიდესი ზარბაზნები 240 მმ ყალიბისაა. როგორც გადმოგვცემენ, დაკარის აეროდრომზე იმყოფება დაახლოებით 100 თვითმფრინავი,

ბრძოლა ვაშნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში

ტოკიო, 22 მაისი (საკადესი). იაპონური პრესა ამ უკანასკნელ ხანს დიდ ყურადღებას აქცევს ვაშნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში წარმოებულ ბრძოლას. იაპონური პრესის ცნობით, იაპონიის ჯარმა ამ ოპერაციებში დიდი წარმატება მოიპოვა და სერიოზულად დაამარცხა ჩინელი ჯარის ნაწილები.

ჩუნცინი, 22 მაისი (საკადესი). ვაშნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში იაპონიის ჯარის დიდი გამარჯვების შესახებ იაპონური პრესის ცნობის გამო, 20 მაისს სენტრალ ნიუსის სააგენტომ გამოაქვეყნა ჩინეთის სარდლობის წარმომადგენლის განცხადება. ამ განცხადების თანახმად, იაპონიის ჯარი 7-8 დივიზიით უტევს ჩინეთის ჯარის პოზიციებს ვაშნის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. ჯუტიაოშანის მთებში შეუპოვარი ბრძოლაა. წარმომადგენელმა უთარკვა იაპონიის ცნობები ჩინეთის ჯარის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის დიდი დანაკლისის შესახებ და აღნიშნა, რომ ნამდვილად მოკლულია მხოლოდ დივიზიის ერთი მეთაური გენერალი ვან ჯუნ-ცუ. იაპონური პრესის ყველა დანარჩენი ცნობა მოკლულ, დაჭრილ და ტყვედწყვანილ ჩინელ მეთაურთა შესახებ, ჩინეთის სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, სინამდვილეს არ შეესაბამება.

„მეორე ბაქო"

(დასასრული)

ურნეო მნიშვნელობა მეტად დიდია, რადგან ეს რაიონები მდებარეობენ ქვეყნის ცენტრში, იქ, სადაც ვოლგა ჯკვეთს უმნიშვნელოვანეს რკინიგზის მაგისტრალებს, რომლებიც მიემართებიან ცენტრიდან შუა აზიისა, ურალისა და ციმბირისაკენ. 1937 წ. ბაშკირეთის ასსრ ქ. უფის დასავლეთით სოფ. ტუიმაზთან აღმოჩენილ იქნა ნავთობის აუზი. გაბურღილ შედეგად პირველივე ხერეკი აძლიოდა დღეღამეში 100 ტონა ნავთობს. ჩკალოვის ოლქში მოიპოვება ორი ახალი სამაგი — ბუგურუსლანისა (აღმოჩენილია 1937 წ.) და სტეფანოვსკისა (აღმოჩენილია 1939 წ.). პერსპექტივეები მარგის გაფართოების ნიმფები არსებობს ჩკალოვის ოლქის სხვა რაიონებშიც.

ნავთობის სათანადო ნიშნები არსებობენ სარატოვის ოლქსა და თათრეთის ასს რესპუბლიკაში. სარატოვის ოლქში სოფელ ტეპლოვსკის რაიონი, რომელიც სარატოვის ჩრდილოეთით მდებარეობს (70 კმ) თათრეთის ასს რესპუბლიკაში დიდი ხნიდან ცნობილია როგორც ნავთობის მატარებელი ტერიტორია. თათრეთის ასსრ ნავთობანი ტერიტორია სათანადო ყურადღების ღირსია. გეოლოგიური წინამძღვრები საფუძველს აძლევენან მოველოდეთ, რომ თათრეთის ასსრ ახლო მომავალში „მეორე ბაქოს" ერთ-ერთი წამყვანი რაიონი იქნება. ნავთობის აღმოჩენის პერსპექტივები გაანია აგრეთვე კიროვის ოლქს. უუტერკომის მთებთან ქ. სოვეტსკის რაიონში შესწავლილია სტრუქტურები და გამოვლენებულ იქნა ნავთობის ნიშნები. ამრიგად, „მეორე ბაქოს" შემადგენლობაში შეელენ: სიზრანის, სტავროპოლის, ბუგურუსლანის, ციმბაბავოს, ტუიმაზის, ჩუსოვის ქალაქების, კამისპირა სამაიოების და სხვ. ნავთობიანი რაიონები — სათანადო ტრესტებით.

„მეორე ბაქოს" საზღვრები ყოველწლიურად ფართოვდება, იზრდება მისი ხვიერითი წონა ნავთობის საკავშირო მოპოვებაში; მხოლოდ სოციალიზმი აყენებს

„მეორე ბაქო"

(დასასრული)

ბუნებას, მის განუსაზღვრელ სიმდიდრეს მშრომელი ხალხის სამსახურში.

„მეორე ბაქოს" და მსოფლიოში უდიდესი ნავთობის — კუბანბეკის ბიღროკვანძის მშენებლობასთან დაკავშირებით თვალწარმტაცი სურათი იშლება სსრ კავშირის ცენტრალური ნაწილის უზარმაზარ ტერიტორიაზე — ეს გრანდიოზული მშენებლობანი თვალსაჩინოდ სცვლიან სოციალისტური ქვეყნის საწარმოო ძალთა განლაგების გეოგრაფიას.

„მეორე ბაქოს" შექმნა სინამდვილედ ექცევა. ხუთი წლის განმავლობაში „მეორე ბაქოს" ტერიტორიაზე მოპოვებული იქნება ნავთობი ისეთი რაოდენობით, რომლის მისაღებად უმდიდრეს ბაქოს რაიონს კაპიტალიზმის პირობებში 50 წელიწადი დასჭირდა. მძლავრად ჩაღდება სტანსიონური მოძრაობა ნავთობის ახალ რაიონებში. ნავთობის ძველი მუშაკები ყოველგვარ დახმარებას უწევენ ახალი რაიონების მუშაკებს. კომკავშირმა შეუობა აიღო „მეორე ბაქოზე", კოლმეურნეობანი -მას მუშა-ხელს აწვდიან.

სტალინური დავალება „მეორე ბაქოს" მშენებლობის შესახებ მოითხოვს ვრცალიოსნულ სამშენებლო სამუშაოს. „მეორე ბაქოს" მთელი ჩვენი დიდი სოციალისტური სამშენო ალიანსის ძმაკაცური ურთიერთ-შეგებლობა, ბოლშევიკური გაქანებითა და მონდომებით შეუდგა საბჭოთა ხალხ სტალინური დავალების შესრულებას — ვოლგასა და ურალს შორის ნავთობის ახალი ძმაკაცური ბაზის „მეორე ბაქოს" შექმნას. საკ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ისტორიული ვადაწყვეტილებები კიდევ უფრო აძლიერებენ „მეორე ბაქოს" მშენებლობის ტემპებს. სტალინური ხუთწლედების შესრულებასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელნი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ქმნიან სოციალისტური ინდუსტრიის ახალ მძლავრ. ცენტრს — მეორე სტალინურ ბაქოს.

მთავრობის სამხედრო ქარხნების მშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 22 მაისი (საკადესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გაშნიტონელი კორესპონდენტის გადმოცემით, მთავრობა ადმინისტრატორმა სესსის ხაზით ჯონსმა გამოაცხადა, რომ გაღებული კრედიტი — 350 მილიონი დოლარი მთავრობის ახალი საამეიკიო ქარხნების მშენებლობისათვის, 250 მილიონი დოლარი — ალუმინის ქარხნების მშენებლობისათვის და 50 მილიონი დოლარი — მაგნიუმის დამამზადებელი ქარხნების მშენებლობისათვის.

ყველა ამ ქარხნის მშენებლობა აუცილებელია უკმაყოფილებლობა ფარმების პროგრამის რეალიზაციისათვის. ყველა ეს ქარხანა მთავრობის კუთვნილება იქნება და მათ ექსპლუატაციას გაუწევენ კერძო კომპანიები.

თბილისი. მე-77 საშუალო სკოლა. **ბუ რაიონი:** მე-10 კლასის სწავლის ფრიდონსანი კომკავშირელები ფიზიკურ კა ბინტაში გამოცდის წინ.

ფოტო გ. ხიტა ოვიანისა (საქფოტოინფორმაცია)

ორი წლის ნაცვლად ორი კვირა

ახლად დადგენილ ყურანის ღვინოს მიანდობენ კარგი გემო როდი აქვს. ეს მწარეარეა, მეგვე საფეთოს სუფი აქვს. ასეთ ღვინოს ასხამენ ხის ფიალებში ან ითავსებენ ლრმა სარდაფში, რა. ოკეანის ატმოსფერული რეგვის ვაკელენისაგან იცავს. ახლოოდ რამდენიმე წლის შემდეგ. შენახვის მკაცრი რეჟიმის დაცვით, ახალი ღვინო ქაჯავაკეთ თავის არომატიანობენ ოვიდებენ და იძენს ძველი ღვინის ოვიდებენ: სასიამოვნო ბეგმის და ნოუელ მოაგალი სუფრელისაგან შემდგარ არომატს, რომელსაც მეღვინეები ბუკეტს უწოდებენ. ზოგიერთი ხარისხის ღვინის დაძველებისათვის საკმარია 25-30 წელი, ზოგჯერ მეტიც. ამ დროს მისი ხარისხი ყოველწლიურად უმჯობესდება

მრავალი ქვეყნის მეღვინეები დიდიანია ცდილობენენ ბარაკეფლიფენენ ღვინის დაძველებას ქიმიის პროცესებით, ბაგრამ აქამდე ეფექტურობა მათ.ამ ვეი მოგარება ჩაუმეფლობოდა ამ მოცულის ირსს, ამ მხრივ მეტად საინტერესო შედეგებმა მიიწია საბჭოთა მეცნიერმა ს. ბ. მანსკიამ.

მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის ენზიმოლოგიურ ლაბორატორიაში (რომლის გამგეა ამ მანსკია) ამეგამად იმფიდან კარკად შეისწავლეს ღვინის ბიოქიმიური სახეცვლილების ბრნება მისი „ჩამოყალიბების" პროსოდი, რომ შესაძლებელი გახდა დაძველების პროცესის მიმდინარეობის დაჩქარება.

ღვინო ძველდება მასში წარმოშეული დაფენვეთილი პროცესების შედეგად. ეს პროცესები ორ ფაზად მიმდინარეობს. პირველი დროს ღვინოში ჩნდება ორ-ბისათვის ან 50 მილიონი დოლარი — მაგნიუმის დამამზადებელი ქარხნების მშენებლობისათვის.

ყველა ეს ქარხანა მთავრობის კუთვნილება იქნება და მათ ექსპლუატაციას გაუწევენ კერძო კომპანიები.

მთავრობის კონგროლი სავაჭრო ნაოსნობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში

ვაშინგტონი, 22 მაისი (საკადესი). წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა „ანონპროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად აფიდებს მთავრობის რეგულირებულას სავაჭრო ნოოსნობის რეგულირებას დარგში. ეს კანონპროექტი ნებას აძლევს მთავრობის საზღვაო კომისიას მოიწვიოს ბოლოდ ტარეთვა, გადმოტვირთვა, საწყობის მომარაგება, აგრეთვე რეისები სავაჭრო გემების მშრალ დოკებში იმისათვის, რომ ეზრუნველყოფილ იქნა ამ სატვირთო გემების უპირატესობა, რომლებსაც საიმპორტო სტატეგიული ნედლეული გადაეჭრა.

წარმომადგენელთა პალატამ უარჰყო ფაშიოლისტთა წინადადება, რომლებიც მოითხოვენ, რომ ამერიკის სავაჭრო გემებს აეკრძალოს მეწამალ ზღვაში შესვლა. მთავრობის საზღვაო კომისიამ პრესას და რადიოს მოსთხოვა თავი შეიკავონ ინობების გამოქვეყნებისაგან ამ გემების მიმოსვლის შესახებ, რომლებსაც ინგლისისათვის მასალები გადაეკვეთ, ვრეთვე ამ გემების შესახებ, რომლებიც მეწამალ ზღვაში ბრალ ჩნდნენ მიეგზავნებიან. ომისიამ ეკრეთვე გამოაცხადა, რომ მან ოკეანეზიცია ოყო ოდე 4 ახალ სამგზავრო გემს, რომლებიც ახლა შენდება სანაოსო კომპანია „მეო მაკ კორმიკისათვის." ამ კომპანიამ ჯერ კიდევ ადრე მიპყიდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს ოქვსი ახალი სატვირთო გემი, რომელთაგან ერთი მცირე ავიოსნად გადაკეთდა.

გერმანია მოითხოვს ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლების გაწვევას პარიზიდან

ნიუ-იორკი, 21 მაისი (საკადესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონ მიღებული ცნობებით, სარწმუნო წრეებში იუწყებიან, რომ გერმანიამ მოსთხოვა ამერიკის შეერთებულ შტატებს 10 ივნისამდი პარიზიდან გაიწვიოს ყველა თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი.

საფრანგეთის მთავრობის ღონისძიებანი

ბორდო, 21 მაისი (საკადესი). როგორც ჰავასის - ოფის საააგენტო იუწყება, საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა 10 ივნისიდან გაათავისუფლოს 1938 წლის კლასის სამხედრო მოსამსახურეთა კონტინგენტი, რომელშიც შედის 1918 წლის მაისში დაბადებული ყველა სამხედრო მოსამსახურე, აგრეთვე გათავისუფლოს 1938 წლის გაწვეულნი, რომელთა ოჯახებშიც არის 5 ბავშვი. როგორც ცნობილია, 15 მაისს გაათავისუფლებული იყვნენ 1918 წლის აპრილში დაბადებული სამხედრო მოსამსახურენი, აგრეთვე ის პირნი, ვინც გაწვეული იყო 1937 წელს და რომელთა ოჯახებშიც 6 ბავშვი არის.

საფრანგეთის ახალი აღმინისტრაციული დაყოფის შესახებ

ბორდო, 22 მაისი (საკადესი). როგორც ჰავასის - ოფის საააგენტო იუწყება, ნაციონალური საბჭოს აღმინისტრატიული კომისიამ დღეს დაამთავრა მუშაობა, რაც ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. კომისია წინადადებას იძლევა შეიქმნას საფრანგეთში 17 პროვინცია. ამ პროვინციებს განაგებენ გუბერნატორები, რომლებიც მთავრობის წარმომადგენლები იქნებიან.

ადმინისტრატორებს ეზრუნველყოფენ საკითხს ამამად რაოდენობა ადგილობრივ ადგილებიდან.

22 მაისი (საკადესი).

უსხოეთის ქრონიკა

- ავსტრალიის სამხედრო ბარჯები 1941 წელს დაახლოებით 700 მილიონ დოლარს მიაღწევენ. სესხი ბარჯების ორ მესამედს ხმარობს.
- 20 მაისს კინოთეატრ „თეატრნაში" დაიწყეს ცნობილი საბჭოთა კინოფილმის „ზასავეთი" ჩვენება, რაც პირველი შემთხვევაა ირანში. სურათი დიდი წარმატებით სარგებლობს, ფილმის დირექტორიკის პირველ დღეს ორი რამდენიმე ათასამა ადამიანი.
- კოსტარიკის მთავრობამ გადათავისუფლა ტყვე გერმანელი და იტალიელი მეზღვაურები, რომლებსაც ბრალდებოდათ, რომ მათ რამდენიმე კვირის წინათ ესესტონ წაკიდეს ორ გემს.
- ინგლისისა და ტბის წარმომადგენლებმა მოლაპარაკება დაიწყეს სინგაპურიდან ტბისათვის ნავთის მიწოდების შესახებ. წინათ იყიდებოდნენ, რომ ინგლისი ამის წინააღმდეგი იყო ტბისა და იაპონის თანამშრომლობის გამო.
- ავსტრალიის ეფემერის მინისტრმა პეიჯმა განაცხადა, რომ ინგლისის სურსათი ეზრუნველყოფილ საკითხს ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს. ავსტრალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა ამ საკითხში, სთქვა პეიჯმა, ეზრუნველყოფს ინგლისისათვის საკმარ რაოდენობის სურსათის მიწოდებას.

ფეხბურთი

„სტანანოვეიანის" ფეხბურთელთა გამარჯვება

სტალინი, 22 მაისი (საკადესი). დღეს „სტანანოვეიანის" ფეხბურთელთა გუნდმა თავის მოედანზე ქალი მოსკოვის „სპარტაკის" გუნდი. მატჩის პირველ წუთებიდანვე თამაშმა მწვავე ხასიათი მიიღო. მეთორმეტე წუთზე „სპარტაკის" კარზე გატანილი იქნა პირველი ბურთი. ეს ანგარიში პირველი ტაიმის ბოლომდე უცვლელი დარჩა.

მეორე ტაიმში სტუმრები (ცდილობენენ ანგარიშის გაქვითვას, მაგრამ ამაოდ. თამაში დამთავრდა ანგარიშით 3:0 „სტანანოვეიის" გუნდის სასარგებლოდ.

რადიოგადაცემა ღღეს

09.00—გაზეთი „პრავდის" მოწერაავე; 09.15—კონცერტი; 09.50 — გადაცემათა პროგრამა რუსულ და ქართულ ენებზე; 10.00—წერილები გაზეთიდან; 10.45—ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი; 11.00—გადაცემა სკოლამდელთათვის; 11.20—საბალეტო მუსიკის კონცერტი; 12.20—მუსიკური სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 13.00—უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან; 17.10 — კონცერტი საკრაფოოკომპოზიტის სოლისტებმა მონაწილეობით; 18.45—ინფორმაციები; 18.50— ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე—ალრეფოონთან ჩაკი მეერილი; ბ. ლეონიდოვი და ა. არკო; 19.30—უკანასკნელი ცნობები საღამის გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 19.58—დროის შემოწმება; 20.00 — უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან; 20.30—კონცერტი დასავლეთის ეოკალეი ნი ხელოვნების ოსტატებმა შესრულებით (ვარუხი, ჯილი და სხვ.); 21.00—კონცერტი; 21.30 — საუბარი თემაზე: „სრულიადსაკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ"; 21.45 — საბჭოური ვაფეოფილების გადაცემა მოსკოვიდან; 00.15 — გადაცემა საერთაშორისო თემაზე მოსკოვიდან; 00.30— უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან.

ქრონიკა

მაცნეობა

25 მაისს, საღამოს 7 საათზე, ბ. ბ. ბ. ბ. თბილისის მასწავლებლის სახლის (ფურცელაძის ქ. № 3) ლიტერატურულ-ისტორიული ბრიგადა **ტრიფონ რუხაძე** წაიკითხავს ლექციას. „ქართული ენაზე. თემა: „**ლიტერატურული წერების ძველ საქართველოში**". დასწრება თავისუფალია.

ლ. კეცხოველის სახელობის პიონერული პროპაგანდის სახლში

24 მაისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პიონერული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ქართული ენაზე ჩატარდება მორიგი ლექციო „**სტალინური კონსტიტუცია და საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა**" (საქ. კ. პ (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან). ლექციას წაიკითხავს ამხ. **თაბუნელიძე.**

ლექციები ტელეფონზე

24 მაისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, საქ. კ. პ (ბ) თბილისის ოქრო-ვერცხლეულობის რაიკომის პარტკომიტეტში (ლენინის ქ. № 11) აგიტატორებისა და რეფერადის აქტივისათვის შეიკითხა ამხ. სტაროსას ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „**საოცალთმზიდან კიმენაზმზე თანდათანობითი გადასვლა სსრ კავშირში და პრალეტარიული ინტერნაციონალიზმის სოციალისტიკური ბაზრობელთა ალზრდის ამოცანები**".

26 მაისს, საღ. 8 საათსა და 30 წუთზე, მიისმენოდეს: საბელოების კლუბში (ბლეიხროვის პრ. № 38) შესაძლებელია ერთ-ერთ ოქროსა ბანკიერ. თემა: „**ამნერგმაბის ბანის ბანდგენრება**". ლექციას წაიკითხავს ოფიციალა ბანკიერთა ტრესტის ინსტიტუტი ამხ. **შ. ბ. ბაბანურიანი** ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება საქ. კ. პ. (ბ) მოსკოვის სახელობის რაიკომის პარტკომიტეტში, რაიონის მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში და კლუბის სალარონში.

26 მაისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე საბალეტშეფთა ოპერის თეატრის შენობაში შესაძლებელია ამხ. **ხელეფანის** ლექციის რუსულ ენაზე. თემა: „**ხალრთანშორისო მდგომარეობა**". ბილეთი ღირს 1 მანეთი და იყიდება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ოქრ. ბერიას სახელობის რაიკომის პარტკომიტეტში და ოპერის თეატრის სალარონში.

კარგა ალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ვანის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3077657, გაცემული ეკიმენ ონიანმესილი **ფვალიშვილის** სახელზე, დაკარგული და ბათილად ითვლება.

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4334052, გაცემული ოლია კონსტანტინოსაძეს **ჯაკონიას** სახელზე, დაკარგულია და ბათილად გაუქმებულია.

საქ. კ. პ. (ბ) ლენინგორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2841796, გაცემული ნიკოლაზ ზაჭარიასაძეს **ცაცაიშვილის** სახელზე, დაკარგული და ბათილად გაუქმებულია.

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2164524, გაცემული ალადიმერ ილიაბინის-ძე **ხატიაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ბათილად გაუქმებულია.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, **დამცველი,** **კომკავშირელი, სპარტაკი** და **26 კომ. სახ.** — „ცისფერი კოფეტები", **ოქტომბერი**—„ბესაზეგარიები" და „ბალი ოპერაში", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „ბაბეკუბერ", **კომინტერნი** — „მიდგებული ეა ბავშვი", **გენინადი** — „ოიკიოლ", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „პარეული ბანდეგი ინანე ფეიფიოოო-ეი", **ფოროშილოვის სახელობის კლუბი** — „ეალერი ჩკალოვი", **მეცნიერება და ოდენა** — „ჩვენი მოსკოვი", **ორგანოლეიბის სახელობის პარკი** — „ეალერი ჩკალოვი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ქ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

24. 25. 27 მაისს

ვ. ვიშნევი. პრემიერა

რ უ ი ბ ლ ა ზ

ტრაგედია 5 მოქმედებად თარგმანი ვ. გიფნერდაშვილისა

დადგმა—ვ. ფუშიკაშვილისა: (ხელოვნ. დამს. მოღვაწე), მხატვარი—ელენე ახალდანი (ოორდენოსანი). მუსიკა—ა. მელიქიანეთ-ბეგიანისა.

ბ. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი (ყოფ. მუშტაიდი)

24 მაისს ბაკურთელ მუსიკის სალამო-კონცერტი **საქართველოს** სახ. ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის და სოლისტებისა—სახალო არტისტ ორდენოსან ეკ. ხოხაძის, სახალხო არტისტ ორდენოსან **სანდრო ინაშვილის** და ლ. ვერმენაშვილის შესრულებით. დასაწყისი 9 ს. 30 წ.

25 მაისს—საღღესასწაულო ს ე ი რ ნ ო ბ ა

მიეძღვნილი ქ. თბილისის ბიცენტენარის შეგებებისადმი სახალხო-ბრა ხალხური ბანდებისა ბანდა **ბაკინინა-ბაბოლეთ და ფუნკციონერთ** გამოსვლები. ხალხო.ო ტანერეის ანსამბლი. ტირები და ხალხოანური კოშკი. ეიტრაფდაზე—**თბილისის სახელმწიფო ბანკ.ილეტრული თეატრ-ოპერეთის** ბანკ.ეტრ.

ბაბანშვო ფიდა—ოკანტრი, ბაიანისტი, ბაბანეანი, ბაბანეანი, ბაბანეანი

24—25 მაისს ლენინგოფილმი **ვ. ჩკალოვი** | **ევროპული ლეკვი — ჯაზი —** | **საცირკ ატრაქციონი ეკვილიბრ. 25-მეტრიან ანძაზე**

**ბ. ბ. ბ. ბ.